

## ზოგადი ხედვა

### **1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?**

ჩვენს საარჩევნო პროგრამაში 7 უმთავრესი მიმართულებაა: 1. ჯანსაღი გარემო; 2. ქალაქგეგმარება და მშენებლობა; 3. თბილისის მართვა; 4. ტრანსპორტი; 5. განათლება; 6. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა; 7. ეკონომიკა, ბიზნესი და დასაქმება. პრიორიტეტული მიმართულებებით მრავალი ღონისძიების გატარება შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიხედვით და ამ პროცესებზე მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დაწესება, უზრუნველყოფს დედაქალაქის სწრაფად და სწორად განვითარებას.

## განვითარება და ეკონომიკა

### **2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენული ხედვა/გეგმა (თუკი ასეთი გაქვთ).**

თანამედროვე სამყაროში, სადაც მშპ-ს 80% ქალაქებზე მოდის, ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად გლობალური ქალაქები გვევლინება. დღეს ქალაქები ერთმანეთს ცხოვრების ხარისხის მაღალი დონით ეჯიბრებიან. გლობალური სარეიტინგო კომპანია Mercer-ის კვლევით, თბილისი ცხოვრების ხარისხის ინდექსის მიხედვით [231 დიდ ქალაქს შორის მხოლოდ 187-ე ადგილს იკავებს](#).

თბილისის გრძელვადიანი განვითარების გზა გადის მისი, როგორც პოლიცენტრული ქალაქის განვითარებაზე, შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. რამდენადაც თბილისი მიმდებარე ქალაქებისთვის წარმოადგენს რეგიონულ ცენტრს სავაჭრო, ინდუსტრიული, ფინანსური და სხვა თვალსაზრისით, მისი როლი აგლომერაციის ჭრილში განიხილება. ჩვენ უზრუნველყოფთ თბილისისთვის ისეთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავებას, რომელიც ინტეგრირებული იქნება ტერიტორიულ-სივრცითი განაშენიანების გენერალურ გეგმასთან. შესაბამისი კვლევებითა და ფართო საზოგადოების მაღალი ჩართულობით გამოვლინდება ცალკეული ეკონომიკური კლასტერები. სტრატეგიაზე დაყრდნობით გაიწერება კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელსაც დაამტკიცებს თბილისის საკრებულო და რომელიც ასახული იქნება ბიუჯეტის კაპიტალური ინვესტიციების შესაბამის მუხლებში. შედეგად, თბილისის განვითარება გახდება შეუქცევადი პროცესი და გეგმით გათვალისწინებული პროექტების შესრულება განუხრელად იქნება სავალდებულო ნებისმიერი ახალი მერისთვის. ჩვენი საარჩევნო პერიოდის ბოლოს ცხოვრების ხარისხის გლობალური ინდექსით თბილისი რეგიონში მოწინავე ადგილს დაიკავებს.

გრძელვადიან პერიოდში კი თბილისი გახდება გლობალურად კონკურენტუნარიანი ქალაქი სადაც ცხოვრება, მუშაობა, ვიზიტორად ჩამოსვლა და ინვესტირება მიმზიდველი და მომხიბვლელი იქნება ყველასათვის.

**3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?**

რამდენადაც ეკონომიკური განვითარება თბილისში პირდაპირ კავშირშია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან, ბევრი ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება ჩამოვთვალოთ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ქალაქის არასწორი დაგეგმარება და მართვაა, რაც უპირველესად გულისხმობს არასაკმარისი ეკონომიკური მიზიდულობის წერტილების/ცენტრების არსებობას. თბილისის არაერთი უბანი მოკლებულია ასეთი ცენტრების არსებობას, რაც განაპირობებს კომერციული ობიექტების/ეკონომიკური აგენტების სიმცირესა და მათ არათანაბარ კონცენტრაციას ქალაქში. ასევე აღსანიშნავია ბიზნესის ხელშეწყობის და ინვესტიციების მხარდასაჭერი მუნიციპალური ინსტრუმენტების ნაკლებობა, თბილისის მერიაში არსებული ბიუროკრატიული ბარიერები, ეროვნული ვალუტის არასტაბილური გაცვლითი კურსი და სხვ.

**4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?**

თბილისს გააჩნია საკმარისად დიდი სივრცე (დაახლოებით 700 ჰა) თავისუფალი, გამოუყენებელი მიწის აქტივის სახით, რომელიც განხილული უნდა იქნას როგორც ურბანული, ასევე ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. არსებულ გენერალურ გეგმაში მოცემულია სქემატური რუკა, რომელზეც ასახულია პრიორიტეტული განვითარების ტერიტორიები. მოცემულ ტერიტორიებს მიეკუთვნება ქალაქში არსებული საწარმოო ტერიტორიები და პოლიცენტრული არეალები. მიწის ქონების პრივატიზებით მიღებული რესურსებითა და ბიზნესის მხარდამჭერი სხვადასხვა ხელშეწყობი ინსტრუმენტით, მოხდება თბილისის ამ არეალებში ეკონომიკური და ურბანული განვითარების სტიმულირება.

**5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.**

ჩვენი საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული იქნება ქალაქის განვითარების ძირითადი ხედვები, რომლებზეც ამ კითხვარის დასაწყისში უკვე მოგახსენეთ. ჩვენ თბილისის მუნიციპალიტეტში დაგწერგავთ მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებულ კაპიტალური ინვესტიციების (მართვის სისტემას) გეგმას CIP, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის მდგრადი განვითარებისთვის, გამოიყენება გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული პროექტების სამართავად და გვეხმარება სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

თბილისის ბიუჯეტი გახდება რეალურად პროგრამული და გამჭვირვალე. შეიქმნება მუდმივად განახლებადი, ღია მონაცემთა ბაზა, რომლის მეშვეობითაც თბილისელები მკაფიოდ დაინახავენ, როგორ სრულდება დაგეგმილი სამუშაოები მთლიანად ქალაქში, კონკრეტულ ქუჩასა თუ უბანში.

თბილისისთვის, როგორც მუნიციპალიტეტისთვის, აქტუალურია ცენტრალურ ხელისუფლებასთან საკუთარი უფლებების მტკიცე დაცვა. მნიშვნელოვანია თბილისის ბიუჯეტში მეტი ფინანსური რესურსის დატოვების უზრუნველყოფა. 2016 წლიდან, „შენების მოძრაობის“ ამჟამინდელი წევრების დამსახურებით, თბილისის ბიუჯეტში სრულად რჩება მეწარმე ფიზიკური პირების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი. ჩვენ ამ პროცესს არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც გავაგრძელებთ და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ თბილისის ბიუჯეტში ასევე დარჩეს თბილისის ტერიტორიაზე დაქირავებით მომუშავეთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის 30%.

***6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნესს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად?***

თბილისში თანაბრად უნდა ვითარდებოდეს ცენტრიც და გარეუბნებიც. ჩვენ დავნერგავთ კერძო სექტორის მასტიმულირებელ ღონისძიებათა ერთობლიობას (პაკეტს) იმისათვის, რომ ქალაქის ყველა უბანში გაჩნდეს მუნიციპალური სერვისები, ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების არეალები, სავაჭრო ცენტრები, საბანკო მომსახურების დაწესებულებები, სპორტული, გასართობი და გამაჯანსაღებელი ობიექტები.

ჩვენ თბილისის ბიუჯეტიდან ბიზნესის სტიმულირებისთვის გამოვყოფთ მცირე ბიზნესის განვითარების ფონდს. ფონდი მოხმარდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას სპეციალური პროგრამების მეშვეობით, ინვესტიციების წახალისებას და ინვესტორთა მხარდაჭერას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. აქცენტი გაკეთდება თბილისის პრიორიტეტულ ტერიტორიებზე კომერციული ობიექტების ხელშეწყობაზე, რაც ხელს შეუწყობს მრავალფუნქციური გარემოს შექმნას მოსახლეობისთვის სხვადასხვა უბანში და თბილისის პოლიცენტრულ განვითარებას. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ დედაქალაქში მცირე ბიზნესის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც მოიცავს: ბიზნესის საკონსულტაციო-საინფორმაციო მხარდაჭერას, მცირე ბიზნესის უნარების მოკლევადიან კურსს, სხვადასხვა სპეციალურ სასწავლო პროგრამას, ასევე მცირე ბიზნესის საკრედიტო დაწესებულებებთან საგარანტიო უზრუნველყოფისა და სესხის პროცენტის თანადაფინანსების მსხვილ პროგრამასაც. მცირე ბიზნესის პროექტებისთვის მონეტარული საგარანტიო უზრუნველყოფის ფონდში სახსრების მოცულობა იმგვარად დაიგეგმება, რომ ჯამში მხარდაჭერა გაეწიოს 1,500-2,000 პროექტს საბანკო სესხის მიღებასა და საპროცენტო განაკვეთის შემცირებაში. ამ პროგრამის საფუძველზე დამატებითი სამუშაო ადგილების რაოდენობა, სულ მცირე, 35-40 ათასი იქნება. ჩვენი პროგრამა მერიის, საბანკო დაწესებულებებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა სამმხრივ, კარგად გაწერილ

თანამშრომლობას დაეფუძნება. ამასთან ერთად, ძირითადი აქცენტები გაკეთდება პროგრამის მონაწილეთა კარგად ინფორმირებულობაზე, ყველა პროცედურის ადვილად გავლის უნარების ფლობაზე, სუბიექტური ჩინოვნიკური გადაწყვეტილებების ალბათობის გამორიცხვასა და რეალური შედეგების წარმოჩენაზე. სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია პროგრამაში ჩართულთა ვინაობის, მათთვის გაწეული დახმარების სახეობის შესახებ და უზრუნველყოფილი იქნება ამ პროგრამის მაქსიმალური გამჭვირვალობა. დაინტერესებულ პირებს ექნებათ კითხვების დასმის შესაძლებლობა, დასმულ კითხვებს კი ამომწურავი პასუხები თვეში ერთხელ გაეცემა.

[ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა](#)

***7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?***

თბილისში თანაბრად უნდა ვითარდებოდეს ცენტრიც და გარეუბნებიც. ჩვენ დავნერგავთ კერძო სექტორის მასტიმულირებელ ღონისძიებათა ერთობლიობას (პაკეტს) იმისათვის, რომ ქალაქის ყველა უბანში გაჩნდეს მუნიციპალური სერვისები, ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების არეალები, სავაჭრო ცენტრები, საბანკო მომსახურების დაწესებულებები, სპორტული, გასართობი და გამაჯანსაღებელი ობიექტები.

ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ დედაქალაქი საცხოვრებლად თანაბრად კომფორტული გახდეს ქვეითად მოსიარულეებისა და ავტომფლობელების, მოხუცებისა და ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და უკლებლივ ყველა თბილისელისათვის.

თბილისის მერიის მიერ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მასალები, და არა დასრულებული გეგმა, დაგვიანებით მომზადდა, თანაც ისე, რომ მას წინ არ უძლოდა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამტკიცებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმები. ჩვენ პარალელურ რეჟიმში მოვამზადებთ და დავამტკიცებთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას და ფართო განხილვებისა და დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობით დავამტკიცებთ ქალაქის მიწათსარგებლობის ახალ გენერალურ გეგმას. გენერალური გეგმის დამტკიცებამდე აუცილებლად ჩატარდება გარემოსდაცვითი ექსპერტიზა. თბილისი უნდა გახდეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა ქალაქი.

ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა ეფექტიანი მონიტორინგისა და საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. ჩვენ 6 თვეში ერთხელ თბილისელებს ჩავაბარებთ ანგარიშს გაწეული სამუშაოსა და მისი შედეგების შესახებ. აიკრძალება გენერალური გეგმიდან რაიმე სახის გადახვევა, რადგან დედაქალაქის წინა და ახლანდელ ხელისუფლებათა მიერ დაშვებულმა „გამონაკლისებმა“ წარმოუდგენლად დაამახინჯა ქალაქის იერსახე და ცხოვრება გაურთულა თბილისელებს. მხოლოდ ასეთი

მდგომით, დროულად დაიწყება თბილისის ურბანული ცხოვრების რეალური გაუმჯობესება და სწორი მიმართულებით განვითარება.

მერიის მიერ შეიქმნება თბილისის განვითარების ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში თავს მოიყრის თბილისის ისტორიის კვლევისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საკითხები, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და ქალაქის ფუნქციონირების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიული და გეგმარებითი დოკუმენტების რეალიზაციის ანალიზის, შეფასების, მათში კორექტირების და შევსების რეკომენდაციის ფუნქციები.

**8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?**

განსაკუთრებულ პრიორიტეტს ვანიჭებთ ქალაქის დასუფთავებასა და სანიტარული ნორმების მკაცრ დაცვას. გაიზრდება საქალაქო სამსახურების მიერ დასასუფთავებელი საჯარო ადგილების რაოდენობა, ქუჩების დასუფთავების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი დაგვიტ, დაინერგება მორწყვა-მორეცხვის ახალი ტექნოლოგიები, მთლიანობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება დასუფთავების ხარისხი, რაც, თავის მხრივ, მკვეთრად შეამცირებს ქალაქის დამტვერიანების დონეს.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციაზე და გამართულ ფუნქციონირებაზე. შემუშავდება კონკრეტული გეგმა დღეს არსებული სავალალო მდგომარეობის რადიკალურად შესაცვლელად. დადგინდება სტანდარტები მოსული ნალექისა და სანიაღვრე სისტემის გამტარიანობის თანაფარდობას შორის და მოხდება სანიაღვრე სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა.

**ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი**

**9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისათვის?**

- შემუშავდება და განვითარდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, მეტრო, ტრამვაი, მიკროავტობუსი, საბაგირო გზა) ერთიანი სატრანსპორტო სქემა, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებული იქნება მისაწვდომობაზე;
- მოხდება მიკროავტობუსების რაოდენობისა და მათი სამოდრო არეალის ოპტიმიზაცია, თანაც ისე, რომ მათ სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთიანი სქემა ჩაანაცვლებს, რითაც გადაადგილება არსებითად გაუმჯობესდება;
- ყველა ავტობუსი იქნება თანამედროვე, კომფორტული და ეკოლოგიურად უსაფრთხო;
- აშენდება და ამოქმედდება ტრამვაის ხაზი დელისი-ვაკე-რუსთაველი-ორთაჭალა, დაიწყება დიდუბე-პეკინი-ორთაჭალის ხაზის მშენებლობა;

- აშენდება სამი სატრანსპორტო დანიშნულების საბაგირო გზა: სამგორი-ვაზისუბანი, ვაჟა ფშაველა-ნუცუბიდის პლატო, ახმეტელის თეატრი-ზღვის უბნის დასახლება;
- ყველა სახეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის დაწესდება ერთიანი საბილეთო და სააბონენტო სისტემა, რაც შეამცირებს ერთი მგზავრობის საფასურს.

**10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის?**

ძალიან მნიშვნელოვანია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა თბილისში, თუმცა ის პირდაპირ კავშირშია ტრანსპორტის საკითხების მოწესრიგებასთან და შესაბამისად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებასთან. ამდენად, ამ ორი საკითხის განხილვა ერთ სიბრტყეზე უნდა მოხდეს. იმ კომპლექსური ღონისძიებებითა და ერთიანი, სისტემური მიდგომით, რომელიც წინა კითხვაში უკვე წარმოგიდგინეთ, თბილისში უსაფრთხო საგზაო მოძრაობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება; უბედური შემთხვევების რაოდენობა შემცირდება და ის 2014 წლის მაჩვენებელს არ გადააჭარბებს (395 დაშავებული, 299 ავარია, 12 გარდაცვლილი).

აქცენტი გაკეთდება ასევე სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციაზე და გამართულ მუშაობაზე, რამდენადაც სანიაღვრეების გაუმართაობა ხშირ შემთხვევაში თბილისის ქუჩების პარალიზების მიზეზია. შემუშავდება კონკრეტული გეგმა დღეს არსებული სავალალო მდგომარეობის რადიკალურად შესაცვლელად. დადგინდება სტანდარტები მოსული ნალექისა და სანიაღვრე სისტემის გამტარიანობის თანაფარდობას შორის, რითიც უზრუნველყოფილი იქნება სანიაღვრე სისტემების გამართული ფუნქციონირება.

**11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის?**

პირველ რიგში, დაგეგმილი გვაქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის უკლებლივ ყველა გაჩერება მოეწყოს ისე, რომ შშმ პირებს აღარ ექნეთ დღეს არსებული პრობლემები ტრანსპორტით სარგებლობასთან დაკავშირებით. ჩვენი მერიაში საქმიანობის დასაწყისშივე და შემდგომაც, მერიისა და რაიონის გამგეობების წარმომადგენლები პერიოდულად აღწერენ და შეაფასებენ, სად და რა შეფერხებებია შშმ პირების, ქვითად მოსიარულეთა, ბავშვებისა და მოხუცების გადაადგილებისათვის. ეს ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე, სადაც მოქალაქეებს საკუთარ ინფორმაციას დამატების შესაძლებლობაც ექნებათ, ხოლო მერიის შესაბამისი სამსახურები განათავსებენ კონკრეტული პრობლემის მოგვარების სქემებსა და მისი გადაჭრის ვადებს.

**კულტურა და განათლება**

**12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?**

თბილისის მერიაში გამოვლენილი ხარვეზები უკავშირდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ჩატარების და ორგანიზების ხარჯების გაწევას. ყოველ წელს, თბილისობასა თუ საახალწლო დღესასწაულებზე, მერია მიდის პირდაპირი წესით შესყიდვის პროცედურაზე, შესყიდვებს ახორციელებს ტენდერების გარეშე და გვერდს უვლის შესყიდვების კანონს. ჩვენ აღმოვფხვრით ასეთ მანკიერ პრაქტიკას და წინასწარი გამჭვირვალე ბიუჯეტით უზრუნველვყოფთ მსგავსი დღესასწაულების ორგანიზებას.

ასევე ჩვენი გეგმით, თბილისის მერიის ბალანსზე არსებულ ბიბლიოთეკებში მოვახდენთ რეორგანიზაციას და მათ გადავაქვევთ თანამედროვე მედიათეკებად, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა, წიგნის კითხვასთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღონ ის კულტურული და სულიერი საზრდო/პროდუქტი (ელ. წიგნი, კინო, მუსიკა და სხვ.), რომელიც ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი ახალგაზრდის ცხოვრებაში.

***13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?***

ჩვენ ვიზრუნებთ სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობისა და ამ პროგრამის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, ხელი შეეწყობა სკოლამდელი განათლების ალტერნატიული და ინოვაციური მოდელების დანერგვას, აღსაზრდელთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო მასალების, თვალსაჩინოებების, ციფრული თუ ნაბეჭდი რესურსების შექმნას; შევიმუშავებთ და განვახორციელებთ შშმ ბავშვების მხარდაჭერის კომპლექსურ პროგრამას.

ყოველწლიურად აშენდება, სულ მცირე, 10 ახალი საბავშვო ბაღი, უზრუნველვყოფთ ბაგა-ბაღების ვაუჩერიზაციას და კერძო სექტორის სტიმულირებას, რომ ახალ საცხოვრებელ კომპლექსებში გათვალისწინებული იყოს საბავშვო ბაღების მოწყობა. ბაგა-ბაღებში ბავშვების რეგისტრაციის პროცესს გავხდით გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს.

მოვაწყობთ სკოლამდელი განათლების რესურსცენტრებს; განვახორციელებთ პედაგოგების უწყვეტი პროფესიული ზრდის პროგრამას; გავზრდით მშობლების, პროფესიული წრეებისა და საზოგადოების სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ჩართულობას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში.

სკოლებში მხარს დავუჭერთ ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სასწავლო პროგრამების განხორციელებას და ვიზრუნებთ სკოლებისათვის შესაბამისი პროფილის სტატუსის მინიჭებაზე; ხელს შევეუწყობთ სკოლების საერთაშორისო დამეგობრების პროცესს; განვახორციელებთ პროგრამას - „სასკოლო და მუნიციპალური ბიბლიოთეკები უწყვეტი განათლებისა და სტაბილური განვითარებისათვის“; სტაჟირებისა და მოხალისეობის მექანიზმების ამოქმედებით, მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გავხდით თბილისის მერიას და მის სისტემაში შემავალ

დაწესებულებებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამებისათვის.

ნებისმიერი ასაკის მოქალაქისათვის განათლებას ვაქცევთ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და წარმატების მიღწევის ქმედით ინსტრუმენტად/მექანიზმად. მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით, დავაფუძნებთ პროფესიულ სასწავლებლებს (მაგ., მეტროპოლიტენი, საქალაქო ტრანსპორტი) და დავაფინანსებთ დეფიციტური პროფესიების სწავლებისა და გადამზადების მიზნობრივ პროგრამებს. დავაფინანსებთ სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლას პროფესიული განათლების კუთხით.

მომავალი თაობების ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილების შემცირებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზიკური აღზრდის დონის ამაღლებასა და სპორტში მათ მასობრივად ჩართვას. ამ მიზნით, თბილისის მერიის ხელშეწყობით, გუნდური სპორტის სახეობებში ჩამოყალიბდება სასკოლო ლიგები და რეგულარულად ჩატარდება სკოლების ჩემპიონატები.

### უსაფრთხოება და კრიმინალი

#### **14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?**

როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული საკითხი სცილდება თვითმმართველის კომპეტენციებს, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ინსტრუმენტებით შესაძლებელი იქნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სათვალთვალო (ვიდეოკამერების) მოწყობილობების მონტაჟი და უსაფრთხოების ქსელთან მიერთება. ასევე, ქუჩის გარე განათების ქსელის გაფართოება იმ არეალებში, სადაც დღეს გადის საგზაო ობიექტები, მაგრამ გარე განათება ჯერ კიდევ არ არის დამონტაჟებული. ყოველივე ზემოთაღნიშნული კრიმინალის პრევენციისკენ გადადგმული ნაბიჯია.

### ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

#### **15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის იზრუნებთ ქალაქში?**

მუნიციპალურ დონეზე საზოგადოებრივი და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებების გასაძლიერებლად თბილისის რაიონებში მოეწყობა „ჯანმრთელობის ცენტრები“ (200,000 – 400,000 მოსახლეზე). ცენტრების საქმიანობა მიმართული იქნება სამოქმედო არეალში დაავადებათა დროული გამოვლენისა და პრევენციისკენ, ამ მიზნით ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ საკურაციო რაიონში მცხოვრები მოსახლეობის ოჯახის ექიმებთან, ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მიხედვით განახორციელებენ ლოკალური საჭიროებების,



მოთხოვნილებებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას. აქ მოქალაქეები მიიღებენ ინფორმაციას ჯანდაცვითი საჭიროებების თაობაზე და აიმაღლებენ ცნობიერებას.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეკვეცა, წამლებისა და გამოკვლევების გაძვირების ფონზე, ძალიან ზრდის მოსახლეობის ხარჯებს. ამ პრობლემას გადავჭრით თბილისში რეალური სამედიცინო დაზღვევის დანერგვით. თბილისელთათვის შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტი სრულად შეავსებს სახელმწიფოს მიერ მხოლოდ ნაწილობრივ დაფარულ მომსახურებას, გააფართოებს ამბულატორიაში გამოკვლევებსა და წამლებით მკურნალობას, რაც მკვეთრად შეამცირებს თბილისელთა ჯიბიდან გადასახდელ ხარჯებს. შემუშავდება სადაზღვევო პროდუქტები, რომელშიც აისახება: 1. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაფინანსებული მკურნალობის პაციენტის მიერ თანადაფინანსების ანაზღაურება; 2. პირველადი ჯანდაცვის გაფართოებული კომპონენტი; 3. წამლებით მკურნალობის კომპონენტი. მერია დიფერენცირებული მიდგომის პრინციპით მოახდენს მოქალაქეთა დაზღვევის უზრუნველყოფას, უმთავრესად, შემდეგი ჯგუფებისათვის: I კატეგორია - პირები რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ 70,000-100,000 ქულით; II კატეგორია - პირები 6-დან 17 წლის ჩათვლით; III კატეგორია - წლიური 40,000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირები; IV კატეგორია - თვიური 1,000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირები.

დღეისათვის, თბილისის მერიისა და გამგეობების მიერ მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო და სოციალური საჭიროებების საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა კომისიურად წარმოებს, რის გამოც ეს პროცესი მოკლებულია რაიმე სახის სტანდარტიზაციასა და სისტემურობას. შემუშავდება და დაინერგება ინდივიდუალური სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევის ობიექტური კრიტერიუმები და რეგულაციები, რის შემდეგაც დახმარების გაწევა მოხდება მხოლოდ სპეციალურ და განსაკუთრებულ შემთხვევებში, რადგან ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯს მოქალაქეები არსებითად აიცილებენ სამედიცინო დაზღვევის მუნიციპალური პროგრამით.

***16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?***

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალურ ჯანდაცვას დედაქალაქში ავტონომიურობა აკლია, რადგან ის პრაქტიკულად ყველა კომპონენტში ცენტრალურ დონეზეა დამოკიდებული. შესაბამისად, არ არსებობს ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის მონიტორინგისა და შეფასების ადეკვატური სისტემა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამის (იხილეთ ზემოთ) სამოქმედო გეგმის რეალიზაციის შედეგად: საფუძველი ჩაეყრება მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემას (მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩათვლით), საგრძნობლად გაუმჯობესდება პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულება,

გარკვეულწილად გაუმჯობესდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯების ეფექტიანობა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება სადაზღვევო მედიცინის მიმართულებით.

ხელი შეეწყობა საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი კვლევების წარმოებას გარემოს დაცვისა და სამედიცინო ეკოლოგიის სფეროში.

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანსაღი გარემოს შესახებ მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის შემუშავდება სხვადასხვა სასწავლო პროექტი.

ყოველივე ეს კი პოზიტიურად აისახება დედაქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე, რაც ინდიკატორების პოზიტიურ დინამიკას განაპირობებს.

***17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?***

მიუსაფართა თავშესაფარში ბენეფიციართა რაოდენობა დღეს შეთავაზებულ ადგილებზე ნაკლებია. ჩვენ ვგეგმავთ, თავშესაფარში დროებით მცხოვრები ადამიანებისთვის საარსებო პირობების გაუმჯობესებას რამდენიმე კომპონენტის დამატებით. ასევე მათთვის შევიმუშავებთ დასაქმების სპეციალურ მუნიციპალურ პროგრამას, რომელიც მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

**ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი**

***18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?***

თბილისის მერიის ხელშეწყობითა და ყველა დაინტერესებული მხარის: საზოგადოების, ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, განათლების, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, პოლიციის, კერძო სექტორის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიხედვით დაინერგება პროგრამა „ჯანსაღი ქალაქი“.

ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობით თბილისში დაინერგება გარემოს დაცვის ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ნორმატიული აქტები. ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დამტკიცდება მხოლოდ მადაკვალიფიციური და გამჭირვალე გარემოსდაცვითი ექსპერტიზის ჩატარებისა და მისი საჯარო განხილვის შემდეგ.

თბილისის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმასა (2011 წ.) და თბილისის გარემოსდაცვით სტრატეგიაზე (2015-2020 წ.წ.) დაყრდნობით შემუშავდება დედაქალაქის

ატმოსფერული ჰაერის ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით დაბინძურების შემცირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

გაფართოვდება და მოდერნიზდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შემაფასებელი სახედამხედველო ქსელი (დაემატება 5 სადგური); ამოქმედდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სრულფასოვანი, თანამედროვე სისტემა.

შემუშავდება ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც დეტალურად გაიწერება სამშენებლო, მათ შორის, სახიფათო ნარჩენების, განთავსებისა და მართვის საკითხები; ძველი და მოქმედი ნარჩენების პოლიგონებზე პერიოდულად ჩატარდება ნიადაგის, მიწისქვეშა წყლებისა და ჰაერის მონიტორინგი, რათა, მათი დაბინძურების შემთხვევაში, ოპერატიულად გატარდეს ღონისძიებები ამ ტერიტორიების ნაგავსაყრელის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

როგორც ძველ, ისე ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებში, გათბობის ინდივიდუალური სისტემებია დამონტაჟებული. ყველა შენობას აქვს ენერგოეფექტიანობის სერიოზული პრობლემა. შესაბამისად, დიდია ენერგეტიკული დანაკარგები და გათბობაზე გაწეული ხარჯები. ამ სერიოზული პრობლემის მოგვარების მიზნით, „შენების“ გუნდს განზრახული აქვს ენერგოეფექტიანობის პროგრამის განხორციელება. პროგრამის მიხედვით ყოველ მშენებარე კორპუსს წაეყენება ენერგოეფექტიანობის მოთხოვნა, რაც გულისხმობს შენობის ენერგოდანაკარგების მნიშვნელოვნად შემცირებას, გათბობისა და ცხელი წყლის ცენტრალიზებულ სისტემებზე გადასვლას. უკვე არსებული შენობების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან თანამშრომლობითა და ურთიერთსასარგებლო შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება შენობების თბოიზოლაციის, ენერგეტიკული დანაკარგების შემცირებისა და ინდივიდუალური გათბობის სისტემების ცენტრალური გათბობისა და ცხელი წყლით უზრუნველყოფის სისტემებით ჩანაცვლება.

***19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?***

თბილისის 33 უბნიდან მხოლოდ 9 არის უზრუნველყოფილი შედარებით ადეკვატური სარეკრეაციო სივრცით. ოფიციალური ინფორმაციით, ქალაქის ერთ სულ მოსახლეზე მწვანე ნარგავების საშუალო სიდიდე (4 კვ.მ-ზე) ათჯერ ნაკლებია ევროპის ქალაქების ამავე მაჩვენებელზე. ბევრად უფრო დრამატულია სტატისტიკა ქალაქის ნაშენ ნაწილში (1,5 კვ.მ). ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქი ჟანგბადის მწვავე დეფიციტს განიცდის, რომ არაფერი ითქვას ჰაერის დაბინძურების მაღალ ხარისხზე. ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მწვანე საფარის გაფართოების მიზნით, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით შემუშავდება მიზნობრივი მუნიციპალური პროგრამა და მისი სამოქმედო გეგმა, შემოღებული იქნება გამწვანების ახალი სტანდარტი შენობებისათვის, ხოლო იმ ადგილებში, სადაც სარეკრეაციო ზონის გაზრდა შეუძლებელია, ერთ სულ

მოსახლეზე დღეს არსებული 4-7 მ<sup>2</sup> მწვანე საფარი გაიზრდება, მინიმუმ, 10 მ<sup>2</sup>-მდე, ხოლო ქალაქის ცენტრში - 1,5 მ<sup>2</sup> გაიზრდება 3-5 მ<sup>2</sup>-მდე; ყოველი ახალი კორპუსის მაცხოვრებლებზე - 10 მ<sup>2</sup> მწვანე საფარი; ყოველი 5 კორპუსისთვის მინიმუმ ერთი 100-500 მ<sup>2</sup> სკვერი; ყველა ახლადაშენებული სკვერის ფართობი 100-500 მ<sup>2</sup>; თბილისის მასშტაბით 10 თანამედროვე პარკი, თითოეული პარკის ფართობი - 2-4 ჰა.

გამოყენებული იქნება მსოფლიოს ქალაქებში წარმატებით რეალიზებული გამწვანების ინოვაციური ფორმები.

შემუშავდება და ამოქმედდება რეგულაციები, რომელიც დაავალდებულებს სამშენებლო კომპანიებს, დაიცვან გარემოს დაცვის წესები და გამწვანების ნორმები.

## ***20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?***

მომავალი თაობების ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილების შემცირებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზიკური აღზრდის დონის ამაღლებასა და სპორტში მათ მასობრივად ჩართვას. ამ მიზნით, თბილისის მერიის ხელშეწყობით, გუნდური სპორტის სახეობებში ჩამოყალიბდება სასკოლო ლიგები და რეგულარულად ჩატარდება სკოლების ჩემპიონატები.

შემუშავდება და დაინერგება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა, რომელშიც კუთვნილი ადგილი დაეთმობა როგორც ქალაქის, ისე მისი რაიონების დონეზე ჯანსაღი გარემოსა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საკითხებს.

## **თბილისი**

### ***1. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად?***

ჩვენ ყველას: ქვეითად, ველოსიპედით, ავტომობილით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსიარულეს უნდა შევუქმნათ გადაადგილების კომფორტული გარემო. ამასთან, სატრანსპორტო გარემო ერთდროულად და თანაბრად უნდა პასუხობდეს თანამედროვე დინამიკური ქალაქის მოთხოვნებს და უნდა იძლეოდეს მოქალაქეთა და ქალაქის სტუმართათვის მობილობისა და უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას. საჭიროა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში კარდინალური ცვლილებები ქვეითად მოსიარულებთა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ბავშვებისა და მოხუცების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ჩვენი მერიაში საქმიანობის დასაწყისშივე და შემდგომაც, მერიისა და რაიონის გამგეობის წარმომადგენლები პერიოდულად აღწერენ და შეაფასებენ, სად რა შეფერხებაა ქვეითად მოსიარულებთათვის, ბავშვების, მოხუცების და შშმ პირთა გადაადგილებისათვის. ეს

ყველაფერი აისახება და განთავსდება ვებგვერდზე, სადაც მოქალაქეები დაამატებენ საკუთარ ინფორმაციას, ხოლო მერიის შესაბამისი სამსახურები განათავსებენ კონკრეტული პრობლემების მოგვარების სქემებს და გადაჭრის ვადებს. თითოეულ თბილისელს ექნება საშუალება, დააკვირდეს, როგორ უმჯობესდება მდგომარეობა ამ კუთხით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

**2. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგების და საცობების შემცირების მიზნით?**

ტრანსპორტის პრობლემები თბილისში კომპლექსურია, რასაც ვერ მოაგვარებს მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ვერც „სითიპარკთან“ კონტრაქტის გაწყვეტა. უფრო მეტიც, ტრანსპორტის პრობლემები მხოლოდ ავტომგზობელებზე არ გადის. საჭიროა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში კარდინალური ცვლილებები ქვეითად მოსიარულეთა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ბავშვებისა და მოხუცების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

სატრანსპორტო პრობლემის მოგვარებისთვის გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც გულისხმობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და სატრანსპორტო კვანძების ოპტიმიზაციას, მათ შორის, ახალი საგზაო ობიექტების შექმნას. ამ კუთხით შემუშავებულ გეგმაში გათვალისწინებული იქნება მოწინავე ევროპული ქალაქების გამოცდილება, მაღალი ხარისხის კვლევისა და გეგმარებითი სამუშაოების შედეგები.

დაინერგება პარკირების სრულიად ახალი მოდელი. ამოქმედდება ზონირების მექანიზმი, ანუ პარკირების საფასური იქნება განსხვავებული ადგილის, დროისა და ავტომანქანის სახეობის მიხედვით. ეს მიდგომა დაარეგულირებს ადგილებზე მოთხოვნას, ასევე თავისუფალი და დაკავებული ადგილების თანაფარდობას.

ინტენსიური პარკირების ადგილებში უზრუნველყოფილი იქნება „ქუჩისმიღმა“ მიწისზედა და მისწისქვეშა ადგილების მოწყობა. „სითიპარკი“ ან ჩაეწერება მერიის ახალ სატრანსპორტო პოლიტიკაში, ან მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდება.

ტაქსებისთვის დაწესდება რეგულაციები რეგისტრაცია-გამრიცხველიანების ჩათვლით. სამუშაო განრიგების სინქრონიზაცია ერთდროულად მომუშავე ტაქსების რაოდენობის შემცირებას მოახდენს. მოეწყობა ტაქსის სადგომები და განვითარდება მათი გამოძახების სისტემა, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მომხმარებლის ძიებაში თავისუფალი მანქანების ჭარბ რაოდენობას. განვახორციელებთ პროგრამას, რომელიც მოახდენს 10,000-მდე ტაქსის ეტაპობრივ ჩანაცვლებას ჰიბრიდული ავტომობილებით.

**3. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ უპატრონო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად?**

უპატრონო ცხოველებთან მიმართებით: მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ერთობლივად გავატარებთ ღონისძიებათა ისეთ კომპლექსს, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის საშიშ რისკებს. განახლება თბილისში ძალების და კატების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესები, დაწესდება ზედამხედველობა მათ მკაცრ დაცვაზე.

**4. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების დარეგულირებისათვის?**

კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მოქალაქეებთან უშუალო ურთიერთობის საფუძველზე, ჩვენ განვახორციელებთ ავარიულ სახლებში მცხოვრებთათვის სპეციალურ პროგრამას. პროგრამის მიზანია ისეთი ეფექტიანი პროცესის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს ავარიული კორპუსების ჩანაცვლებას ახალი საცხოვრებელი სახლებით. ჩანაცვლება მოხდება მინიმალური და ეფექტიანი დანახარჯების, სწორი არქიტექტურული განაშენიანებისა და მოსახლეობასთან სამართლიანი დამოკიდებულების შენარჩუნების პირობით. მოქალაქეს, რომელიც დღეს ცხოვრობს ავარიულ სახლში, ექნება შესაძლებლობა, უსასყიდლოდ გადავიდეს, სულ მცირე, იმავე ზომის ხარისხიან ბინაში. დავიწყებთ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფი შენობებიდან და 4 წლის განმავლობაში თბილისში ავარიულ და გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებში მცხოვრებთა პრობლემის გადაჭრაში არსებით გარდატეხას მოვახდენთ.

**5. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?**

მოხდება ყველა ძველი უბნის რეაბილიტაცია. კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებული საცხოვრებელი სახლების საკითხში მოქალაქეებთან და ინვესტორებთან უშუალო თანამშრომლობით განხორციელდება პროგრამა, რომელიც ამ კულტურულ მემკვიდრეობას მოქალაქეებისა და თბილისისთვის შემოსავლის წყაროდ აქცევს.

**6. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე?**

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი დაიწყო „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში და მასზე მთლიანი ღირებულების 65% - 213 მლნ. აშშ დოლარი დაიხარჯა. პროექტის დასრულება მოითხოვს დარჩენილი 137 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირებას. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელება დაიწყო ისე, რომ არ ჩატარებულა წინასწარი შეფასება და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთება. 2013 წლის შემდეგ ჩატარებულმა კვლევებმა კი გამოავლინა შემდეგი უარყოფითი ფაქტორები: მცირდება რკინიგზის გამტარუნარიანობა 24%-ით; ჯამური დანახარჯები, როგორც საპოერაციო, ისე მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული, იზრდება 57%-ით; მთლიანი ხარჯი მომდევნო 11 წლის განმავლობაში 126 მლნ. დოლარიდან გაიზრდება 197 მლნ. დოლარამდე; ლიანდაგის მთლიანი სიგრძე იზრდება 48 კმ-მდე და ასევე ემატება შიდა დარჩენილ სადგურებამდე მისასვლელი

ლიანდაგები 22 კმ; სატვირთო მატარებლის დღიური სვლა იზრდება 50%-ით; აუცილებელი ხდება სალოკომოტივო პარკის გაზრდაც 26%-ით.

ასევე აღსანიშნავია, რომ წლიური მოვლა-შენახვის და საოპერაციო ხარჯები შემოვლითი რკინიგზისთვის იზრდება 12,2 მლნ. დოლარამდე (+51% არსებულთან შედარებით); მატარებლის საოპერაციო ხარჯი იზრდება 35%-ით; ინფრასტრუქტურის საოპერაციო ხარჯი იზრდება 31%-ით; ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯი იზრდება 73% -ით.

სს „საქართველოს რკინიგზამ“ თბილისის შემოვლითი რკინიგზის დამამთავრებელ ეტაპზე აუდიტორულ კომპანია Ernst and Young-ს დაუკვეთა პროექტის შედეგად გამოთავისუფლებული ტერიტორიის საბაზრო ღირებულების დადგენა, რომელმაც შეადგინა მხოლოდ 30 მილიონ აშშ დოლარი, რაც 12-ჯერ ნაკლებია პროექტის მშენებლობის საინვესტიციო ღირებულებასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და თბილისის საჭიროებებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თბილისს უნდა ჰქონდეს სატვირთო გადაზიდვებისთვის შემოვლითი რკინიგზა. ამავდროულად, სამგზავრო გადაზიდვები უნდა დარჩეს არსებულ მონაკვეთზე უცვლელად. ასეთი მიდგომით ჩვენ, ერთის მხრივ, განვტვირთავთ თბილისს ზედმეტი სატვირთო ნაკადებისგან, ხოლო მეორეს მხრივ, დაუტოვებთ ქალაქს ძველებურ მოქნილობასა და სატრანზიტო როლს და რკინიგზა ზედმეტი შეფერხებების გარეშე მოემსახურება მგზავრებს.

თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე მატარებელთა სრულყოფილი ოპერირებისათვის საჭიროა მშენებლობის შედეგად გამოვლენილ ეკოლოგიურ რისკებზე დამატებითი კვლევების ჩატარება მათი შემდგომი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.